პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 67 (4061)

5 1970 წ. აპრილი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## საპატიო ჯილდოები

ფეხბურთის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისთვის სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ თავისი საპატიო ნიშნით დააჯილდოვა საკავშირო კატეგორიის მსაჯები ო. ჟორდანია და ვ. შავდია (ორივე — თბილისი).

## ვეტერანის თასზე

გრძელდება სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშება რესპუბლიკის „ბ" კლასის ფეხბურთელთა გუნდებისთვის. მოგვყავს ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები.

I ქვეჯგუფი. „ალაზანი" (გურჯაანი) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:2, „მეტალურგი" (რუსთავი) — „კახეთი" (თელავი) 2:0, „მეტალურგი" — „ალაზანი" 2:0, „მეშახტე" — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:0.

4 თამაშის შემდეგ 7 ქულით ლიდერობს ტყიბულის „მეშახტე". მას 1 ქულით ჩამორჩებიან რუსთაველი ფეხბურთელები.

II ქვეჯგუფი. „სულორი" (ვანი) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:0, „დინამო" (სოხუმი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:2, „დინამო" (სოხუმი) — „მერცხალი" 0:2. „სულორს" წაგება ჩაეთვალა ფოთის „კოლხეთთან".

აქ დაწინაურდა ლანჩხუთის „გურია" — 6 ქულა. მახარაძის „მერცხალს" 5 ქულა აქვს.

## 2:0, 0:2

ბათუმი, 4 აპრილი (ტელეფონით). გუშინ დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში. პირველ მატჩში ადგილობრივმა დინამოელებმა კიროვაბადის თანაკლუბელთა გუნდს უმასპინძლეს.

მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს მეტოქეს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს მის კართან. კერძოდ, კვიტაიშვილს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა უშუსტო გამოდგა. შემდეგ კიროვაბადელებმა გამოასწორეს თამაში, 34-ე წუთზე ბათუმელთა მეკარე პავლოვმა შეცდომა დაუშვა და ანგარიშიც გაიხსნა.

ეს გოლი მასპინძლებმა 61-ე წუთზე გაქვითეს (გაგუა) — 1:1. დამატებითი დროის მიუხედავად, ანგარიში აღარ შეცვლილა.

დღეს შედგა ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0.

ო. მურვანიძე.

ტაგანროგი, 4 აპრილი. გუშინ აქ ადგილობრივმა „ტორპედომ" სსრ კავშირის თასის გათამაშების მატჩში დაამარცხა გორის „დილა" — 2:0.

## III ტურის ფინიში

ბელგრადი, 3 აპრილი. დღეს „საუკუნის მატჩში" დამთავრდა III ტურის 6 გადადებული პარტია. ნაიდორფი თამაშის განუახლებლად დანებდა ტალს, ხოლო ტაიმანოვი და ულმანი ყაიმზე შეთანხმდნენ.

კორჩნოი წინდახედული თამაშით ინიციატივას დაეუფლა, მაგრამ პორტიში კარგად იცავდა თავს. პარტიის ბედი ცაიტნოტმა გადაწყვიტა. კრიტიკულ მომენტში საბჭოთა დიდოსტატმა თითქმის ერთ საათს იფიქრა და... სუსტი სვლა გააკეთა. ცაიტნოტში, ისიც ელვისებურ თამაშში, შეცდომის გამოსწორება შეუძლებელი აღმოჩნდა და პორტიშმა გაიმარჯვა.

რეშევსკიმ სმისლოვთან ლაზიერების ენდშპილში ზედმეტი პაიკის რეალიზებას 13 სვლა ამყოფინა. ეს, რა თქმა უნდა, კარგი პოზიციის წყალობით გახდა შესაძლებელი. მატულოვიჩთან შეხვედრაში ბოტვინიკსაც ლაზიერების ენდშპილი და ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ ყაიმის მეტს ვერაფერს მიაღწია, თუმცა 6 საათს იბრძოდა. ყაიმით დასრულდა ივკოვ—კერესის შეხვედრაც.

ამრიგად, III ტური „მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა" გუნდმა მოიგო — 6:4. „საუკუნის მატჩის" საერთო ანგარიშია 15,5:14,5 საბჭოთა დიდოსტატების სასარგებლოდ.

### „საუკუნის მატჩის" ცხრილი

| სსრ კავშირი | I | II | III | III | II | I | მსოფლიოს ნაკრები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სპასკი | 1/2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1/2 | ლარსენი |
| პეტროსიანი | 0 | 0 | 1/2 | 1/2 | 1 | 1 | ფიშერი |
| კორჩნოი | 1/2 | 1/2 | 0 | 1 | 1/2 | 1/2 | პორტიში |
| პოლუგაევსკი | 0 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1 | ჰორტი |
| გელერი | 1 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 0 | გლიგორიჩი |
| სმისლოვი | 1/2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1/2 | რეშევსკი |
| ტაიმანოვი | 1 | 1 | 1/2 | 1/2 | 0 | 0 | ულმანი |
| ბოტვინიკი | 1 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 0 | მატულოვიჩი |
| ტალი | 1/2 | 0 | 1 | 0 | 1 | 1/2 | ნაიდორფი |
| კერესი | 1/2 | 1 | 1/2 | 1/2 | 0 | 1/2 | ივკოვი |
| | 5 1/2 | 6 | 4 | 6 | 4 | 4 1/2 | |

## თავდასხმა საუკეთესო დაცვაა

მოსკოვი, 3 აპრილი. ლუჟნიკის სპორტის სასახლეში სსრ კავშირის ქალთა გუნდმა ისევ მესამე მაგიდასთან დაამარცხა მორიგი მეტოქეები ევროპული ჩემპიონატის ნახევარფინალში—ინგლისის ჩოგბურთელები (3:0). მსოფლიო ჩემპიონები გუნდურ შეჯიბრებებში ზ. რუდნოვა და ს. გრინბერგი მართლაც ჩემპიონურ სტილში თამაშობდნენ!

მართლაც, დრონი იცვალნენ. გფრ-ის ცნობილი ჩოგბურთელი, დაცვის შეუდარებელი ხელოვანი ე. შელერიც კი სასტიკად დამარცხდა. გუშინ მან წააგო მოსკოველ ს. გომოზკოვთან, რომელსაც ამ დიდოსტატთან შეხვედრა ჯერ არ მოუგია. დღეს კი შელერს ფარხმალი დააყრევინა იუგოსლაველმა დ. შურბეკმა. შეუპოვარ ფრანგს ჟ. პურკარსაც სულ უფრო ნაკლები ქულა მოაქვს თავისი გუნდისთვის თანამედროვე მაგიდის ჩოგბურთის ცნობილ ოსტატებთან შეხვედრებში. სხვათა შორის, ამ ოსტატებიდან უმეტესობას თავდასხმის მომხრეები შეადგენენ. ერთი სიტყვით, მტკიცდება ძველი ნათქვამი: თავდასხმა საუკეთესო დაცვაა.

დამაჯერებლად გამოდის ტურნირში სსრ კავშირის ვაჟთა გუნდიც. მან დაამარცხა ინგლისელთა კოლექტივი — 5:1, რითაც რევანში აიღო 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონატში წაგებისთვის.

მასპინძლებთან მატჩამდე ინგლისის გუნდმა თითქმის 4-საათიან ბრძოლაში ძლივს სძლია ფრანგებს. ეს იყო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი, სადაც კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა ფრანგმა ჟ. სეკრეტენმა. მან სამივე მეტოქეს აჯობა.

საბჭოთა სპორტსმენებთან შეხვედრაში ინგლისელებმა გამოიყვანეს პირველი ჩოგანი დ. ნილი, რომელსაც ფრანგებთან არ უთამაშია. მაგრამ ამ უკანასკნელმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ ბათუმელ ს. სარხოიანს მოუგო.

გომოზკოვი და ა. ამელინი ზუსტად და მძლავრად უტევდნენ მეტოქეებს. ისინი, განსაკუთრებით ამელინი, ტაქტიკურადაც ინგლისელებზე უკეთ მომზადებული ჩანდნენ.

საღამოს საბჭოთა სპორტსმენები იუგოსლაველ ჩოგბურთელებს შეხვდნენ, რომლებიც ასევე დაუმარცხებლად ასპარეზობენ. მეზობელ მაგიდასთან ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შვეციისა და უნგრეთის ვაჟთა გუნდები.

იუგოსლაველები ძლიერი მეტოქეები აღმოჩნდნენ. ისინი უფრო სწრაფად მოქმედებდნენ და მხოლოდ გომოზკოვმა შეძლო დაემარცხებინა ნ. კარაკაშევიჩი. დანარჩენი შეხვედრები წავაგეთ. შედეგად საბჭოთა ჩოგბურთელებმა მიიღეს ანგარიში 1:5 და მხოლოდ ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლის შანსი. მეტოქის ვინაობა შვეციისა და უნგრეთის გუნდების მატჩში გაირკვევა.

სამაგიეროდ, კარგად გამოვიდნენ საბჭოთა ქალები. რუდნოვამ და გრინბერგმა შესაბამისად დაამარცხეს დ. ცალინსკა და ჩ. ნოვორიტა. მათ წარმატება მოიპოვეს წყვილთა შეჯიბრებაშიც. (საკდესი).



ისევ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონის სარბენი ბილიკი, ისევ ხალხით სავსე ტრიბუნები და ველოსიპედისტთა ასპარეზობა. ოღონდ ამჯერად ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის პრიზისთვის ბრძოლა სხვა სისტემით ტარდება. გამოთიშვით რბოლამ, როგორც ჩანს, არ გაამართლა, ვინაიდან აზარტში შესულ ველოსიპედისტებს არ ესმოდათ ინფორმატორის განკარგულება და მოასპარეზეთა ჯგუფს უხალისოდ ტოვებდნენ.

მაშინ ორგანიზატორებმა გამოიყენეს ჯგუფური რბოლის პრინციპი რამდენიმე საშუალედო ფინიშით. ყოველ ფინიშზე გამარჯვებულს ქულათა გარკვეული რაოდენობა ერიცხებოდა.

რბოლა ამჯერად უფრო საინტერესო გამოდგა. ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდო არმიელთა სპორტკლუბის შეთანხმებულმა დუეტმა (ვ. პოპოვი — ნ. გოგიტიშვილი), რომელმაც გაითამაშა კიდეც I-II ადგილები. გამარჯვება წილად ხვდა პოპოვს, II ადგილი — გოგიტიშვილს. „ბურევესტნიკის" წევრი დ. კობაიძე III ადგილზე დარჩა.

ეს მოხდა გასულ ხუთშაბათს თბილისისა და მინსკის „დინამოს" ფეხბურთელთა მატჩის შესვენებაზე.

• • •

სურათზე: უსიამოვნო შემთხვევა დისტანციაზე, რომელიც რამდენიმე წამში მასობრივი „ავარიის" მიზეზი გახდება.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

„ლოკომოტივის" სტადიონი




ფეხბურთი

სსრ კავშირის თასი

I ეტაპი

დ ღ ე ს

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „დაუგავა" (რიგა)

დასაწყისი 16 ს.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

სასტენდო სროლა. ასკ-ს სასროლეთი. დღეს: საქართველოს თასის გათამაშება. დასაწყისი 10 ს.

მძლეოსნობა. იპოდრომი. დღეს: საქალაქო კროსი გაზეთ „პრავდის" პრიზზე. დასაწყისი 11 ს.

ხელბურთი. სპორტის სასახლე. 7-9 აპრილი. სსრ კავშირის ვაჟთა გუნდების IX პირველობა. დასაწყისი: 7 აპრილს — 11 ს., 8-ში — 17 ს., 9-ში — 16 ს.

თანამედროვე ხუთჭიდი. საქართველოს თასის გათამაშება. დღეს: სროლა. „დინამოს" ტირი (ზესიკის ქ. № 4). დასაწყისი 9 ს. ცურვა. საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის აუზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ). დასაწყისი 18 ს. 6 აპრილი. მძლეოსნობა. ლისის ტბის მიდამოები. დასაწყისი 15 ს. 7-8 აპრილი. ცხენოსნობა. დელისის იპოდრომი. დასაწყისი 16 ს.

კლასიკური ჭიდაობა. სპორტის სასახლე. 7 აპრილი. საერთაშორისო შეხვედრა: საქართველო (ნაკრები) — იუგოსლავია (ნაკრები). დასაწყისი 20 ს.

## ახალი ამბები

● როვანიემი (ფინეთი), 3 აპრილი. თეთრ უნივერსიადაში მონაწილე საბჭოთა მოციგურავე ქალებმა 500 მეტრზე სწრაფრბენაში სამივე საპრიზო ადგილი დაიკავეს — ლენინგრადელმა ნ. სტატკევიჩმა და მოსკოველმა ლ. ტიტოვამ ერთნაირი დრო (45,7) აჩვენეს, ხოლო მესამე შედეგი აქვს ალმაათელ ლ. მირონოვას — 48,6. ვაჟთა სპრინტი მოიგო ე. კელერმა (გფრ) — 40,5. II ადგილზეა ვ. მურატოვი (მოსკოვის ოლქი) — 41,0, III — ალმაათელი ვ. ტროიცკი — 41,5.

● ექსი (საფრანგეთი), 3 აპრილი. 50-მეტრიან აუზში გამართულ ტურნირში ფრანგმა მ. რუსომ 100 მ თავისუფალი სტილით 53 წამში გაცურა. ეს შედეგი მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩება რუსოს თანამემამულის ა. გოტვალესის ევროპულ რეკორდს.

● კიროვო-ჩეპეცკი, 3 აპრილი. აქ დამთავრდა იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატი ბიატლონში. 10 კილომეტრზე რბენა მოიგო ვ. ვერეშჩაგინმა („დინამო"), რომელმაც ეს მანძილი 39 წუთსა და 52 წამში ისე გაირბინა, რომ სროლაში ერთი წუთითაც არ დაჯარიმებულა. 3×5 კილომეტრზე ესტაფეტა „დინამოს" პირველი გუნდის გამარჯვებით დამთავრდა — 1:02.58.

● ბონი, 3 აპრილი. გფრ-ის მოცურავეთა შეჯიბრებაში 100 მეტრზე გულაღმა ასპარეზობა ქვეყნის ახალი რეკორდით (1.10,1) მოიგო ბორმანმა. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მაღალი შედეგით (55,5) გაიმარჯვა შილერმა.

● ბრემენი, 3 აპრილი. დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქის სტადიონზე ჩატარდა მძლეოსანთა შეჯიბრება. გ. ვაიდნერმა (გფრ) 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 1:28.33,0. ეს წლეულს საუკეთესო შედეგია მსოფლიოში.

● ფრუნზე, 3 აპრილი. ადგილობრივ მძლეოსანთა ღია პირველობაში ყირგიზეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა ბ. ბაზორკინმა 78,62 მეტრზე ტყორცნა შუბი. ეს შედეგი 5 მეტრზე მეტით სჯობს ბაზორკინის ძველ რესპუბლიკურ რეკორდს და საუკეთესოა წლეულს სსრ კავშირში.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# მართლაც

დარწმუნებული ვარ, სპორტის ოსტატ ა. გოგელიას წერილის — „ეროვნული საქმე“ („ლელო“, 1970, 25. I) — წაკითხვის შემდეგ ზოგიერთ გაოცებულ მკითხველს დაებადა კითხვა: საქართველოს სპორტულ რესპუბლიკას უწოდებენ, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში ტრადიციულად V ადგილს ვიკავებთ, სპორტის მასობრიობის დონე დაბალი არ არის, წერილში კი გარკვეული შეშფოთებაა გამოთქმული ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში არსებული ზოგიერთი ნაკლოვანების გამო. რა გვაშინებს?

საქმე სწორედ ისაა, რომ, რაც სხვა ქვეყნისა თუ რესპუბლიკისთვის სანუკვარი და საოცნებოა, ჩვენთვის იგი უკვე განვლილი ეტაპია და, ბუნებრივია, აღარ გვაკმაყოფილებს. ჩვენ მონომახის ქუდის სიმძიმე გვაწუხებს. სპორტში ამდენ წარმატებას შენარჩუნება და გაზრდა ესაჭიროება. ამ ძნელი საქმის გაკეთება კი შეუძლებელია, თუ სისტემატურად თვალყური არ ვადევნეთ და ძირშივე არ ამოვძირკვეთ ის ნაკლოვანებანი, რაც აქა-იქ თავს იჩენს და ხელს გვიშლის უფრო დიდი მიღწევების მოპოვებაში.

„ეს საუბარი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს“, — წერს დასასრულს ა. გოგელია. მწამს რა ამ სიტყვების სრული ჭეშმარიტება, ჩემს ზოგიერთ მოსაზრებას ვთავაზობ მკითხველებს.

## ასი წლის შემდეგ

კ. მარქსის გენიალურ „კაპიტალში“ ვკითხულობთ: „კაპიტალი უზურპაციას ახდენს იმ დროისას, რომელიც აუცილებელია სხეულის ზრდის, განვითარებისა და ჯანმრთელად შენახვისთვის. იგი იტაცებს დროს, რომელიც მუშას ესაჭიროება სუფთა ჰაერით და მზის სხივებით სარგებლობისთვის“. და პროლეტარიატის ბელადი თავის დასაბუთებულ მოთხოვნებს უყენებდა ბურჟუაზიას, რათა ამ უკანასკნელს შეექმნა ელემენტარული პირობები მაინც მუშების კულტურული დასვენებისა და ფიზიკური ვარჯიშისთვის.

გავიდა წლები. დიდმა ოქტომბერმა შრომას ჩამოხსნა ეს მძიმე უღელი და აი, მარქსის „კაპიტალის“ დაწერიდან დაახლოებით ასი წლის შემდეგ კაცობრიობა სიამოვნებით კითხულობდა ჩვენი პარტიის პროგრამაში: „ადამიანთა თავისუფალი დრო სულ უფრო მეტად მოხმარდება საზოგადო მოღვაწეობას, კულტურულ ურთიერთობას, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებასა და მხატვრულ შემოქმედებას. ფიზკულტურა და სპორტი დამკვიდრდება ადამიანთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში“.

პარადოქსულად იცვალა დრო. თუ წინათ მთავრობებს ებრძოდნენ იმისთვის, რომ მიეცათ ხალხისთვის ფიზიკურ კულტურაში ჩაბმის საშუალება, დღეს, პირიქით, პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველმხრივ ქმნიან პირობას და ურჩევენ მოსახლეობას ჩაებას ამ სასარგებლო საქმიანობაში.

მაგრამ ყოველთვის და ყველგან ვიყენებთ ამ დიდ საჩუქარს?

## უსაზღვრო შესაძლებლობანი

ამჟამად, მოგეხსენებათ, საბჭოთა ხალხის სამუშაო კვირა ერთ-ერთი ყველაზე ხანმოკლეა მსოფლიოში. 6-7-საათიანი სამუშაო დღე, პლუს კიდევ ორი დასვენების დღე, — ამაზე უკეთესს ვერც ინატრებს კაცი, რომელმაც კარგად იცის კულტურული დასვენების ყადრი.

მაგრამ ხომ არიან ადამიანები, რომლებსაც ასეთმა შეღავათმა სიხარული მოჰგვარა სულ სხვა გარემოებათა გამო? აბა, გაიხსენეთ ჟურნალ „კროკოდილში“ დაბეჭდილი ერთი ტიპიური კარიკატურა: შინ შემოდის გახარებული მამაკაცი, გაშლილი ხელებით არყის ორი ბოთლი მოაქვს და ცოლს ეუბნება: მომილოცე, ჩვენს ქარხანას ორი დასვენების დღე მისცესო. გასაგებია ლოთის ლოგიკა: თუ ერთი დასვენების დღის პირობებში ერთი ბოთლი კმაროდა, ახლა დოზა გაიზარდა: მეორე დასვენების დღეს აბა, რა უნდა აკეთო?

მჯერა, მაშინ ბევრ ქართველ მკითხველს ენიშნა ეს კარიკატურა, მაგრამ დასკვნა? სამწუხაროდ, სათანადო დასკვნა ბევრს როდი გამოაქვს. მახსოვს, ეს იყო ამ სამი წლის წინ. სიამოვნებით ვუყურე ტელეგადაცემას, რომელიც ეძღვნებოდა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მუშების ერთ დასვენების დღეს ლისის ტბის მიდამოებში. გართობა, თამაში, სპორტული შეჯიბრებები, კმაყოფილი სახეები ერთმანეთს ენაცვლებოდა ტელეეკრანზე. მას შემდეგ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ასეთი გადაცემა აღარ განმეორებულა. და ეს მოხდა არა ტელევიზიის უყურადღებობით (იგი მუდამ სიამოვნებით მოაწყობს ასეთ სასარგებლო რეპორტაჟებს), არამედ იმის გამო, რომ მსგავსი ღონისძიებები იშვიათად ტარდება. და ამაში, პირველ ყოვლისა, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მიუძღვით ბრალი.

აბა, ჰკითხეთ სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლებს, კოლმეურნეობებისა და ფაბრიკა-ქარხნების ფიზკულტურის მეთოდისტებს, რა მდგომარეობაში არიან: თუ დირექტორი თვით გატაცებულია სპორტით, იგი მუდამ სიამოვნებით აკმაყოფილებს მათს თხოვნას, იძლევა ინვენტარის შეძენის უფლებას, თანხას მოედნების მოწყობისთვის და ა. შ. მაგრამ თუ სათავეში ზის კაცი, რომელსაც, როგორც თვით ამბობს, სპორტი მხოლოდ მოცლილთა საქმედ მიაჩნია, მაშინ ხუთმანეთიანი ბურთის შეძენისთვისაც ჭვარს გაცვამს. განა ეს დიდი და საერთო საქმე ზოგიერთი ხელმძღვანელის გუნება-განწყობაზე უნდა იყოს დამოკიდებული? მთელი სისასტიკით ხომ არ ავამოქმედოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 13 ივლისის დადგენილების ერთი პუნქტი, რომლის მიხედვითაც მთელი პარტიული სიმკაცრით ისჯებოდა ის ხელმძღვანელი, რომელიც საწარმოო გეგმასთან ერთად ფიზკულტურასა და სპორტში თანამშრომელთა ჩაბმის გეგმასაც არ შეასრულებდა?

## ზოგისთვის სპორტი მოდაა

ნაცნობს თხოვნა შევუსრულე და თბილისის საცურაო სკოლაში გავყევი. ვესტიბიულში უამრავ მშობელს მოეყარა თავი. იმ დღეს სკოლაში ჩასარიცხად არჩევდნენ მათ ბავშვებს. ცოტანი მიიღეს, უმრავლესობა კი, მათ შორის, ჩემი ნაცნობის ბიჭი, დაიწუნეს. უნდა გენახათ ჩემი ნაცნობის გააფთრება: იგი კომისიას არაობიექტურობაში ადანაშაულებდა.

მე შევხედე მის ბუთხუზა ბიჭს და კომისია გავამართლე.

— თუ მართლა გინდა შენი ვაჟი სპორტში გამოადგეს ქვეყანას, საჭიდაო ან ძალოსნურ დარბაზში მიიყვანე; იქ ნამდვილად წარმატებას მიაღწევს, — დავამშვიდე ნაცნობი.

— როგორ, — იწყინა მან, — სხვაზე ნაკლები რითია ჩემი ოჯახი, რატომ უნდა გამოვწყდე ხალხში?

აღარ ღირდა კამათი. მივხვდი: მისთვის სპორტი ისევე მოდით გატაცება იყო, როგორც ზამთრის სასკოლო არდადეგების პერიოდში ბაკურიანში წასული ზოგიერთი ახალგაზრდისთვის. ამ უკანასკნელთა მიზანი ხომ ხშირად დათოვლილი ნაძვნარის ფონზე სათხილამურო კოსტუმების დემონსტრირება, მეგობართა შორის დროს გატარებაა და არა სათხილამურო სპორტში დახელოვნება.

ბაკურიანის თოვლიან ველებზე თუ საცურაო აუზზე მოხული ბევრი ახალგაზრდა მხოლოდ სპორტის მეშვეობით სიამოვნების მიღებაზე ფიქრობს. ეს თავისთავად ურიგო საქმე არაა, მაგრამ ასეთი ადამიანებისგან ქართულ სპორტში ამინდის შექმნას არასოდეს უნდა ველოდეთ. აბა, რას უნდა ელოდე, მაგალითად, მშობლისგან, რომელსაც სექციაში მიჰყავს თავისი მეათეკლასელი შვილი და მისალმებისთანავე მწვრთნელს პირდაპირ უსვამს კითხვას: დაეხმარება თუ არა მის შვილს სპორტი უმაღლეს სასწავლებელში მოწყობაში?

## ვის ესვრება მელნით ხელი?

როდესაც ამბობენ — სპორტისთვის დროს ვერ ვპოულობთო, ერთი ჩემი მასწავლებლის ნათქვამი მაგონდება: მელნით მხოლოდ მას ესვრება ხელი, ვინც ცოტას წერს და კალმის ხმარება არ იცისო.

მთავარია იცოდე თავისუფალი

# ფინალში — ორქულიანი მარაგით

ფოთში გაიმართა ხელბურთელ ჭაბუკთა საკავშირო ზონალური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლატვიის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა (მწვრთნელი გ. მაჭავარიანი) ტურნირი დაუმარცხებლად განვლო და I ადგილი დაიკავა (ლატვიასთან — 25:20, აზერბაიჯანთან — 25:22, მოსკოვთან — 35:28). მოსკოველებმა სძლიეს აზერბაიჯანისა (30:19) და ლატვიის (21:20) კოლექტივებს და II ადგილი დაიკავეს. ლატვიელები აზერბაიჯანის გუნდთან ერთადერთი მოგებით (33:31) III ადგილზე გავიდნენ. აზერბაიჯანის ნაკრებს არც ერთი ქულა არ მოუპოვებია.

ფინალური შეხვედრები ივლისში, ლიტვის პატარა ქალაქ ელექტრინაიში გაიმართება. ფოთის ზონიდან ფინალში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოსა და მოსკოვის ხელბურთელები. ჩვენს გუნდს მოსკოველებთან მოპოვებული 2 ქულა ფინალში გადაჰყვება. ფინალში სულ 6 გუნდი იასპარეზებს.

საქართველოს ნაკრებში თავი გამოიჩინა რ. სუხიშვილმა, რომელმაც მეტოქეთა კარში 25 გოლი გაიტანა. ქების ღირსია გ. ბერიაშვილიც, რომელმაც მხოლოდ 1 მატჩი და მეორე მატჩის 5 წუთი ითამაშა, მაგრამ 14 გოლის გატანა შეძლო (დანარჩენ შეხვედრებში ბერიაშვილი ავადმყოფობის გამო ველარ გამოვიდა). გ. შიოშვილმა და დ. ჭაფოძემ 13-13 გოლი გაიტანეს, ბ. ტაბატაძემ — 8, ა. ბერესტოვმა — 5, თ. კორძახიამ — 4, ზ. კეკელიძემ — 3. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ნაკრებმა ყველაზე ნაკლები ბურთი მიიღო.

საუკეთესო ტექნიკისთვის დაწესებული სპეციალური პრიზი რ. სუხიშვილმა დაისაკუთრა. პრიზები მიიღეს, აგრეთვე, ლატვიელმა ლ. პლეპისმა (საუკეთესო ბომბარდირი — 27 გოლი) და აზერბაიჯანის გუნდის წევრმა ვ. უტკინმა (საუკეთესო მეკარე).

ჯ. ენდელაძე.



## მარინე და ალექსანდრე

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ნორჩ თბილისელ ჩოგბურთელებს — 24-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელ მარინე ელერდაშვილს და [illegible]-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელ ალექსანდრე ახვლედიანს. მოზარდ ჩოგბურთელთა საკავშირო პირველობაში, რომელიც ახლახან თბილისში დამთავრდა, მარინემ ორი გამარჯვება მოიპოვა (ერთეულთა და წყვილთა თანრიგებში), ალექსანდრემ კი ერთი II და ერთიც III ადგილი დაიკავა (ერთეულთა და წყვილთა თანრიგებში). ორივე სპორტსმენისთვის ეს პირველი დიდი წარმატებაა საკავშირო ხარბიელზე. კვლავაც ასეთი მიღწევები ვუსურვოთ მათ.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

# პროტესტი დააკმაყოფილეს

უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში გუშინწინ გაიმართა მესამე ტურის მატჩები. ძერჟინსკში სსრ კავშირის ჩემპიონებმა — მოსკოველმა დინამოელებმა მოუგეს თანაქალაქელ სტუდენტთა გუნდს — 3:2. მოსკოვის ოლქის „ლოკომოტივისა“ და ალმა-ათის „დინამოს“ მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3. თბილისის დინამოელები ისვენებდნენ.

ლენინგრადში, ადგილობრივმა „ბალტიკამ“ სძლია მოსკოვის „ტორპედოს“ — 4:3, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბისა და კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაქო) გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 7:2.

როგორც ცნობილია, მეორე ტურში სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბისა და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდების მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:2 მეზღვაურთა სასარგებლოდ. ავტოქარხნელებმა შეხვედრის შედეგი გააპროტესტეს. ეს საკითხი გასულ პარასკევს განიხილა ჩემპიონატის მსაჯთა კოლეგიამ, რომელმაც დააკმაყოფილა ტორპედოელთა პროტესტი. ამ გუნდების ხელახალი მატჩი გაიმართება 6 აპრილს.

# აკვალანგიანი ნეპტუნი

**ნახოდკა, 8 აპრილი.** 25 აკვალანგისტმა სპორტული თანრიგის ნორმატივი შეასრულა. ისინი ამ ქალაქში პირველი თანრიგოსნები არიან წყალქვეშა სპორტში. შეჯიბრება გემშემკეთებელი ქარხნის აუზში ტარდებოდა. სპორტის ამ სახეობის ენთუზიასტები დოსააფის საქარხნო ორგანიზაციასთან შექმნილ სპორტულ-ტექნიკურ კლუბში მეცადინეობენ, რომელსაც „ნეპტუნი“ ჰქვია.

წყალქვეშა სპორტი ერთ-ერთი ყველაზე „ახალგაზრდა“ სახეობაა ქალაქში. მან მხოლოდ ქარხნის აუზის გახსნის შემდეგ დაიწყო განვითარება.

(საკდესი).

# ჩემპიონები ერთი სკოლიდან

თბილისის მოზარდ ბადმინტონისტთა პირველობაში დედაქალაქის სხვადასხვა სკოლის 61 მოსწავლემ იასპარეზა. შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფად გაიმართა. უფროსი ასაკის გოგონებში და ჭაბუკებში აბსოლუტურ ჩემპიონთა სახელი დაისაკუთრეს თბილისის მე-80 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა ი. კონდრატიევამ და გ. ლარიბოვმა. მათ სამივე თანრიგში (ერთეულები, წყვილები, შერეული წყვილები) აჯობეს ყველას. კონდრატიევას თანამეწყვილე იყო რ. ოკინაშვილი, ხოლო ლარიბოვისა — ვ. ლიბაკი. შერეულ წყვილებში კი აბსოლუტური ჩემპიონები ერთად გამოდიოდნენ. ოკინაშვილმა ერთეულთა თანრიგში II ადგილი დაიკავა: ჩემპიონთან მან მესამე, გადამწყვეტი პარტია წააგო.

უმცროსი ასაკის ჭაბუკების ერთეულთა თანრიგში ყველა საპრიზო ადგილი ხელთ იგდეს თბილისის მე-2 სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლებმა — თ. გონიაშვილმა, ვ. ბოლქვაძემ და ს. გიგუაშვილმა. გოგონათა უმცროს ასაკში ჩემპიონობის მოპოვება ისევ ამ სკოლა-ინტერნატის წარმომადგენელს თ. ცამაკურიძეს შეეძლო, მაგრამ მან 98-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. ბაბლუმოვასთან გადამწყვეტ შეხვედრაში მეტისმეტად ინერვიულა და დამარცხდა — 1:2.

ბ. ამირხანოვი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# ეროვნული საქმეა

დროის რაციონალურად გამოყენება. ვ. ი. ლენინს თავისი გენიალური შრომების შექმნისთვის მართლაც დიდი დრო სჭირდებოდა, მაგრამ ამ დიდი საქმიანობის პროცესში იგი ყოველდღიურად ნახულობდა შუალედებს, რათა ევარჯიშა, აქტიურად დაესვენა და ამ სახით აღედგინა შრომისუნარიანობა. დილის სასარგებლო ვარჯიში, ტურიზმი, ცურვა, ციგურაობა, ნადირობა წარმოადგენდა ლენინისთვის დასვენების საუკეთესო საშუალებებს. ძნელია ჩამოვთვალოთ სია ყველა იმ დიდად დატვირთული ადამიანისა, რომლებიც მუდამ ნახულობდნენ დროს ამ სასარგებლო საქმისთვის და არასოდეს ჩიოდნენ — ფიზიკური ვარჯიშობა დროს გვართმევსო. და ეს ხდებოდა იმის გამო, რომ მათ ჰქონდათ დღის რეჟიმის გეგმაზომიერად წარმართვის უნარი.

აქ შეიძლება ურწმუნო თომას მიმდევრები შემოგვედაონ: ამ ადამიანებს სპორტი დიდ დროს არ ართმევდა იმიტომ, რომ მათთვის იგი მხოლოდ დასვენების საშუალებას წარმოადგენდაო. არ მინდა წერილი გადავტვირთო იმის ამსახველი მაგალითებით, თუ საშუალო და მაღალი კლასის სპორტსმენებმა რა დიდ წარმატებებს მიაღწიეს მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დარგში და სპორტს სრულიადაც არ შეუშლია მათთვის ხელი ცნობილი ადამიანები გამხდარიყვნენ. მოვიყვან მხოლოდ საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკის დ. ჟვანიას მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგად მიღებულ ერთ მონაცემს: მან შეისწავლა ბოლო 30 წლის მანძილზე მოქმედი სპორტსმენების, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა ცხოვრების გზა. აღმოჩნდა, რომ ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა ქვეყნის სპორტული ღირსების ამ დამცველთა 85 პროცენტი უმაღლესდამთავრებულია. მარტო ტანმოვარჯიშეებს, კალათბურთელებს, ფეხბურთელებსა და მოჭიდავეებს შორის არიან მეცნიერებათა 5 დოქტორი და 34 კანდიდატი. თითქმის ყველა მათგანი ჩვენი საზოგადოების სასარგებლო, აქტიური წევრია.

ხედავთ? ეს დიდი ცხოვრებისეული წარმატება მოიპოვეს ადამიანებმა, რომლებიც სისტემატურად ვარჯიშობდნენ, დიდ დროს უთმობდნენ სპორტს, გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის პირველობებში, საერთაშორისო შეხვედრებში.

არ ვიცი, ამის შემდეგ რას იფიქრებს ურწმუნო თომა!

## ნიჰილისტები — ოფსაიდში!

შეიძლება პირდაპირ ითქვას: ნიჰილისტები ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მტრების წისქვილზე ასხამენ წყალს. ისინი, სამწუხაროდ, მრავლად გვყავს და მათი უნებლიე თუ ნებსითი მავნე მოქმედება მრავალგვარი ფორმით ვლინდება. აი, კაცი დილით გამოდის სკვერში, რათა სუფთა ჰაერზე ივარჯიშოს. იქვე ნაბახუსევი, პირში პაპიროსგაჩრილი უსაქმური მიუთითებს სპორტულ ფორმაში გამოწყობილ მოვარჯიშეზე და აცინებს გვერდში მდგომთ: „შეხედეთ ამ საქმეგამოლეულს, პატრონი არა ჰყავს?“ სამწუხაროდ, ზოგიერთი იღიმება და ეთანხმება მას. ასეთი ნიჰილისტების გავლენის ქვეშ ექცევა ზოგი მშობელი, რომლებიც მუსიკას, უცხო ენასა და სპორტს შორის არჩევანს, როგორც წესი, პირველ ორზე აჩერებენ.

გვყავს უფრო საშიში ნიჰილისტები, — ასეთები სოფლის თავკაცებსა და ქალაქის ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელთა შორის გვხვდებიან. რა დავარქვათ, მაგალითად, ასეთ ფაქტს, თუ არა ახალგაზრდობისადმი მტრობაში გადაზრდილი ნიჰილიზმი: დიღმის საცხოვრებელ მასივში ფიზკულტურული ორგანიზაციების, თბილისის საბჭოსა და ადგილობრივ მცხოვრებთა თაოსნობით არასრული მონაცემებით 4 მარტივი ტიპის სტადიონი მოეწყო. ამჟამად ამ სტადიონებიდან ერთიღა დარჩა. კალათბურთის 6 მოედნიდან გადარჩა 2, ფრენბურთის 12 მოედნიდან — 3, გაუქმდა ჩოგბურთის კორტი. ამ ბაზებს, როგორც იტყვიან, ზედ გადაუარეს ამხანაგობათა სახლებმა.

გარდა ამისა, რამდენი ფაქტია ცნობილი, როცა სოფლის თავკაცთა გაუგებარი ჭირვეულობის გამო გადაუხნავთ ახალგაზრდების მიერ მოწყობილი მოედნები? რა დავარქვათ ამას?

ვინც ახალგაზრდობას კულტურული დასვენებისა და წრთობის საშუალებას უსპობს, მას არც ჩვენი ქვეყნის მომავალი აფიქრებს. ცოდვას ჩადის ისიც, ვინც ასეთ ვაიხელმძღვანელებს სათანადოდ არ სჯის.

## დათვური სამსახური

დამერწმუნეთ, ზემოთ ჩამოთვლილი არასასიამოვნო ფაქტებიდან ნახევარიც არ მოხდებოდა, სპორტის პროპაგანდა თავის სიმაღლეზე რომ იდგეს. დიდ საქმეს გვიკეთებს პრესა, რადიო, ტელევიზია, მაგრამ, რა დასამალია, ზოგჯერ (ეს პრეტენზია უმთავრესად კინოს, თეატრისა და მხატვრული ლიტერატურის სპეციალისტების მიმართ უნდა გამოვთქვათ) მათი პროპაგანდა საწინააღმდეგო შედეგებს გვაძლევს. მოვიყვანთ ორიოდე ფაქტს. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მხატვრული სიტყვის ქართველ ოსტატებს ჯერ კიდევ არ შეუქმნიათ ნაწარმოები, როგორიც შეეფერება სპორტულ რესპუბლიკას. პირიქით, ზოგიერთი მათგანი საქმეს გვიფუჭებს. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. ელენტმა და მე ამ რამდენიმე წლის წინ „ლელოს“ ფურცლებზე ვამხილეთ ნაკლოვანებანი ერთი მოთხრობისა, რომელშიც „დამტკიცებული“ იყო, რომ შტანგით ვარჯიში თმებს აცვენს, ადაბლებს კაცს. მოდი და ამის შემდეგ ურჩიე მშობელს, მიიყვანოს ბავშვი ძალოსნობის სექციაში.

ადრე, ვისაც ახსოვს, მოსკოვის კინოსტუდია ქმნიდა ფილმებს, სადაც მწვრთნელებს, როგორც წესი, ნორმალური ადამიანის სახე არ ჰქონდათ. ალბათ მათ მიჰბაძეს მოსკოვის ტელევიზიის გადაცემის — „18 ხკამის“ ავტორებმა, რომლებმაც ყველა გმირი ნორმალურ ადამიანად (თუმცა ზოგჯერ საკმაოდ უცნაურად) გამოიყვანეს, პან სპორტსმენი კი მხოლოდ დებილის შთაბეჭდილებას ტოვებს. განა ეს კაცია განსახიერება სპორტსმენთა მრავალმილიონიანი არმიისა, რომელსაც წარმატებით გააქვს საბჭოთა სპორტის სახელი უცხოეთში? ეს იუმორიაო, — ამას წინათ თავი იმართლა ცენტრალურმა ტელევიზიამ, მაგრამ როცა უზარმაზარ საქმეს წყალს ვუყენებთ მხოლოდ იმისთვის, რომ ვილაცა გავაცინოთ, ეს იუმორი კი არა, დანაშაულია.

საკვირველია, როდემდე უნდა სდუმდეს საქართველოს კინოსტუდია? განა რესპუბლიკა, რომელმაც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა საპატიო V ადგილი, არაა იმის ღირსი, რომ მის სპორტულ ცხოვრებაზე შეიქმნას სათანადო მხატვრულ-დოკუმენტური კინონარკვევი მაინც?

## საზოგადოებრიობა დიდი ძალაა!

სპორტი, ფიზიკური ვარჯიშობა, საბავშვო თამაშობანი თუ მოზარდი თაობის ინტელექტუალური ჩამოყალიბების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად არ ვაქციეთ, სხვაგვარად შეუძლებელია ილაპარაკო მის საქვეყნო მნიშვნელობაზე. შეიძლება გვქონდეს კარგი მოედანი, ეს მოედანი მუდამ სავსე იყოს ბავშვებით, მაგრამ ზემოხსენებული ამოცანა მაინც გადაუჭრელი დარჩეს. დიახ, მთავარია არა მარტო ის, რომ ბავშვმა ითამაშოს, არამედ და უფრო მეტად ის, თუ რას და როგორ ითამაშებენ ბავშვები, უხელმძღვანელებს თუ არა ვინმე მათს ვარჯიშობას, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის თვალთაბედვით სწორად იქნება თუ არა წარმართული ეს პროცესი.

ასეთი კონტროლი არსებობს ცენტრალურ სტადიონებსა და მოედნებზე, სექციების სავარჯიშო ბაზებზე, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც კი აღზრდის პროცესს ოფიციალური ფიზკულტურული ორგანიზაციები თაოსნობენ. მაგრამ რა მოვუხერხოთ ქალაქების ათი ათასობით ეზოს, აქ არსებულ პატარა მოედნებს, სოფლად ბავშვების მიერ მოწყობილ ათასობით სავარჯიშო ადგილს? აქ ხომ ყოველგვარი კონტროლის გარეშე თამაშობს ჩვენი რესპუბლიკის ბავშვების ნახევარზე მეტი? და ასეთ მოედნებზე რა ხდება, ღმერთმა უწყის. სწორედ აქ ეჩვევა ბავშვი ბილწსიტყვაობას, მეტოქის შეურაცხყოფას, ტრაბახს, ჩხუბს, ხულიგნობას. ამ შემთხვევაში მოედანი ასრულებს იმავე როლს, რასაც ქუჩა, ამ სიტყვის ძველებური და ცუდი გაგებით.

ფიზკულტურულ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ამ მრავალრიცხოვან მცირე ბაზებზე კონტროლის დაწესება. ეს, უბრალოდ, ფიზიკურად შეუძლებელია. მაშ სადაა გამოსავალი?

გამოსავალი საზოგადოებრიობის დიდ ძალაშია!

სამწუხარო ფაქტია, რომ თვით ცალკეული ეზოების მცხოვრებნი რატომღაც ძალიან ზერელედ უყურებენ ამ საქმეს. უფრო მეტიც: რამდენი დიდი სახლია დიდ ქალაქებში, სადაც მოქმედი სპორტსმენი, სპორტის ვეტერანი თუ სპორტის კარგად მცოდნე ცხოვრობს? ისინი ხედავენ ეზოში ყოველდღე მოთამაშე ბავშვებს და ერთხელაც არ ჩაერევიან, არ გაუსწორებენ, არ მიუთითებენ თავის ნებაზე მიშვებულ ნორჩებს, ვარჯიშობის სისტემატურ ხელმძღვანელობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ამ დიდმა საზოგადოებრივმა ძალამ მთელი სიღრმით შეიგნო თავისი პასუხისმგებლობა მომავალი თაობის წინაშე. მაშინ ხშირად ვნახავდით სასიამოვნო სურათს — როგორ მიუძღვებიან ნორჩებს უფროსები ტურისტულ ლაშქრობაში, როგორ ქმნიან ეზოს გუნდებს, როგორ ეჯიბრებიან ერთმანეთს ეს გუნდები. და ყველა თვალნათლივ დაინახავს, როგორ აღიკვეთება ასეთ ეზოებში ზომას გადასული სიცელქე, ხულიგნობა, მიდრეკილება პაპიროსის წევისადმი (აღარას ვამბობ ნარკომანიაზე); ნახავენ, როგორ შეუწყობს სპორტი ხელს მოსწავლის აკადემიურ წარმატებას და როგორ გააფაქიზებს მის ზნეობას.

ამ მხრივ ჩვენი საზოგადოებრიობა დიდ ვალშია ახალგაზრდობის წინაშე.

ა. ციბაძე.
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## ალენის ნახტომი

ოსლოში ჩემპიონატი საწყლოსნო თხილამურებით სრიალში (კოპენჰაგენი) ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ე. ალენმა მოიგო. მან ქალთა შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში გაიმარჯვა. სურათზე თქვენ ხედავთ ე. ალენს 360-გრადუსიანი ნახტომის დროს.





## „გოლის გოგონათა“ ალბუმი

ლონდონის საფეხბურთო ჟურნალმა გამართა შეჯიბრება „1969 წლის გოლის გოგონას“ (სიტყვის თამაშია: „გოლი“ ინგლისურად მიზანს ნიშნავს) გამოსავლინებლად. შეჯიბრების ფინალში გასულმა ათმა ულამაზესმა ქალიშვილმა შემდეგ ალბუმი გამართა. ყოველი მათგანი გამოვიდა ფეხბურთელთა იმ გუნდის ფორმით, რომლის თაყვანისმცემლადაც თავს თვლიდა.

გაიმარჯვა 21 წლის ლიდსელმა (იორკშირი) დალაქმა სილვია სვეილსმა, რომელსაც თქვენ ხედავთ ამ სურათზე, ცენტრში, ჯილდოდ მოპოვებული გვირგვინით.

სვეილსის საყვარელმა გუნდმა „ლიდს იუნაიტედმა“ ინგლისის ჩემპიონობა დაისაკუთრა, სილვიამ კი პრიზად 100 გირვანქა სტერლინგი მიიღო.

კეჩკემეტი (უნგრეთი), 4 აპრილი. ადგილობრივ 50-მეტრიან აუზში დაწყებული საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც ფაშისტური უღლისგან უნგრეთის განთავისუფლების 25-ე წლისთავს ეძღვნება, ევროპის ახალი რეკორდით აღინიშნა: ნორჩმა უნგრელმა ანდრეა დიარმატიმ 100 მ გულაღმა 1 წუთსა და 7 წამში გაცურა. ეს შედეგი 0,9 წამით სჯობს ფრანგი კ. კარონის ძველ რეკორდს, რომელიც 1964 წელს იქნა დამყარებული ტოკიოს ოლიმპიადაში.

-20 45

◆ ოსტინი (ტეხასის შტატი), 4 აპრილი. ტეხასის უნივერსიტეტის მძლეოსან ვაჟთა გუნდმა 4×220 იარდზე (4×200 მეტრის ანალოგიური) ესტაფეტა 1 წუთსა და 22,1 წამში გაირბინა, რაც მსოფლიო რეკორდის გამეორებაა. გუნდში გამოდიოდა კ. მილსი, რომელიც 440 იარდზე რბენაში მსოფლიო მიღწევას ფლობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვი — 1976

## „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“

სსრ კავშირში და საზღვარგარეთ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებამ 1976 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის თაობაზე.

— ამ ინიციატივას დიდი ინტერესით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოური ტურიზმის მთავარი სამმართველო და „ინტურისტი“, — თქვა საქდესის კორესპონდენტ ი. ბერსენიევთან საუბარში „ინტურისტის“ მმართველობის თავმჯდომარემ ვ. ბოიჩენკომ. — ოლიმპიური თამაშების ჩატარება დიდ შესაძლებლობას იძლევა ტურისტული კავშირების შემდგომი განვითარებისთვის, რასაც საბჭოთა მთავრობა საერთაშორისო თანამშრომლობის, ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განმტკიცების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს. ოლიმპიადის დღეებში, წინასწარი გამოანგარიშებით, მოსკოვში რამდენიმე ასეული ათასი უცხოელი ტურისტი ჩამოვა.

მოსკოვი ნამდვილად ღირსია ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისა. სსრ კავშირი მუდამ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილეა ამ დიდი საერთაშორისო ასპარეზობებისა. საბჭოთა სპორტსმენები მუდამ წარმატებით გამოდიან საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში, ღირსეულად იცავენ თავიანთი ქვეყნის სპორტულ ღირსებას. მათ ბევრჯერ მოუპოვებიათ გამარჯვება ძლიერ და გამოცდილ მეტოქეებთან ბრძოლაში. ბევრი უცხოელი სპორტის ოსტატი და გულშემატკივარი მაღალი აზრისაა მათს კეთილშობილებაზე და რაინდულ სულზე. საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქს პირველხარისხოვანი სპორტული კომპლექსები აქვს. იგი შეძლებს სანიმუშო ბაზა მოამზადოს ოლიმპიური თამაშების ჩატარებისთვის.

მოსკოვი ამ დიდი პატივის ღირსია კიდევ იმიტომაც, რომ იგი მსოფლიოს უდიდესი სამრეწველო და კულტურული ცენტრია. მოსკოვის ისტორიული და კულტურული ძეგლები საზღვარგარეთ დიდი პოპულარობით სარგებლობს. საბჭოთა ბალეტის, მუსიკის, კომპოზიტორთა და ოსტატ-შემსრულებელთა, საბჭოთა ცირკის დიდება დიდი ხანია გასცდა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს.

ოლიმპიადის სტუმრები ჩვენს ქვეყანაში ბევრ საინტერესოს ნახავენ. მოსკოვში მათ შეუძლიათ დაათვალიერონ კრემლი, მუზეუმები, თეატრები, საკონცერტო დარბაზები, უკეთ გაეცნონ საბჭოთა ხალხის ტრადიციებს, მის კულტურას, ადათ-ჩვევებს. მოეწყობა ექსკურსიები დედაქალაქის გარეუბნებში, არხანგელსკოეში, ოსტანკინოში, კუსკოვოში, აგრეთვე, ვლადიმირში, სუზდალში და მოსკოვის ახლოს მდებარე სხვა ძველ რუსულ ქალაქებში, რომლებიც ხელოვნების უნიკალური ძეგლებით არიან ცნობილი. ეს ქალაქები მოსკოვთან კარგი ავტოტრასებითაა დაკავშირებული და მანქანით მგზავრობა მოსახერხებელია.

უცხოელი სტუმრებისთვის ამ დღეების პროგრამა უაღრესად მრავალფეროვანი იქნება. მოგზაურობის მარშრუტებში შედის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის 100-ზე მეტი სამრეწველო და კულტურული ცენტრი. „ინტურისტის“ სტუმრები იმოგზაურებენ შავი ზღვის სანაპიროზე, დაისვენებენ ბიჭვინთაში, სოჭში, იალტაში, ჩავლენ კავკასიაში, შუა აზიაში, ბალტიისპირეთში, შეუძლიათ იმოგზაურონ ციმბირში, სადაც ბოლო წლებში გიგანტური ელექტროსადგურები აიგო.

„ინტურისტს“ უცხოელი ტურისტ-გულშემატკივრების მომსახურების დიდი გამოცდილება აქვს. მაგალითად, ბოლო წლებში ჩვენ მოვემსახურეთ რამდენიმე ათას უცხოელ სტუმარს, რომლებიც საზღვარგარეთიდან ჩამოვიდნენ ავსტრიის, იტალიისა და სხვა ქვეყნების გუნდებთან სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მატჩების სანახავად. უამრავი გულშემატკივარი ჩამოვიდა ჰოკეის, ფიგურული ციგურაობისა და ხელბურთის მატჩებზე დასასწრებად.

უნდა ითქვას, რომ მოსკოვში სწრაფად იზრდება სასტუმროების ქსელი. წლეულს გაიხსნება ახალი 1000-ადგილიანი სასტუმრო „ნაციონალი“. შენდება კიდევ რამდენიმე დიდი სასტუმრო. ცნობილია, რომ მოსკოვის საბჭოს დაგეგმილი აქვს სხვა სასტუმროების, მათ შორის, „მოსკვას“ მეორე რიგის მშენებლობაც.

დასასრულ, მინდა გამოვთქვა იმედი, — რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს და 1976 წლის ოლიმპიადა მოსკოვში ჩატარდება. მაშინ ჩვენ სიხარულით მივესალმებით ოლიმპიური თამაშების მონაწილეებსა და სტუმრებს ამ სიტყვებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“



სურათზე: ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საერთო ხედი.

## ჩვენ მზად ვართ

ოლიმპიურ ასპარეზობათა დღეებში გულშემატკივრად იქცევა მსოფლიოს ათობით მილიონი ადამიანიც, რომლებიც ჩვეულებრივ დროს შორს დგანან სპორტული ინტერესებისგან.

ამასთან, თანამედროვე სპორტის მოყვარული, შეიძლება ითქვას, გათამამებულია. მაგალითად, იგი უკვე მიეჩვია, რომ თვალი ადევნოს საკმაოდ შორს გამართულ შეჯიბრებებს, მაგრამ მისთვის საკმარისი არც ესაა. დღეს გულშემატკივარს აინტერესებს ოპერატიული რადიორეპორტაჟები, „ელვა“ გამარჯვებულთა შესახებ, საგაზეთო ანგარიშები და კომენტარები, სპორტული გმირების ფოტოსურათები.

ერთი სიტყვით, ოლიმპიური თამაშების დროს ჟურნალისტური იარაღის ყველა სახეობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლების მუშაობა მეტად მნიშვნელოვანი ხდება. ხოლო ამ მუშაობაში პრესას, რადიოსა და ტელევიზიას კავშირგაბმულობის მუშაკებიც ეხმარებიან.

● არიან თუ არა მზად საბჭოთა კავშირგაბმულობის მუშაკები, რომ საიმედო „ხიდები“ უზრუნველყონ მოსკოვსა და ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეს შორის, თუ მოსკოვს 1976 წლის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად აირჩევენ?

აას-ის კორესპონდენტის მ. ზასლავსკის ამ შეკითხვაზე პასუხს იძლევა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრი ნ. პსურცევი:

— სადღეისოდ, — ამბობს მინისტრი, — საბჭოთა კავშირს მყარი ელექტროკავშირი აქვს დამყარებული მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან. სსრ კავშირი ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კავშირში (მსე) შედის და ამ ორგანიზაციის ფარგლებში ახორციელებს საქმიან ურთიერთობას ევროპისა და სხვა კონტინენტების სახელმწიფოებთან.

უკვე ამჟამად უცხოელი ჟურნალისტების, ტურისტების, მოსკოვის სხვა სტუმრების განკარგულებაშია საერთო მოხმარების ორასზე მეტი სატელეფონო არხი, რაც სხვადასხვა საზღვარგარეთულ ქვეყანასთან თავისუფლად და საკმაოდ სწრაფად დალაპარაკების საშუალებას იძლევა.

გარდა ტელეფონის და ტელეგრაფისა, პრესის წარმომადგენლებს შეუძლიათ ისარგებლონ კავშირგაბმულობის ისეთი საშუალებით, როგორიცაა ტელექსი. ტელექსის ჩვენი საერთაშორისო სამსახურის განკარგულებაშია ორასზე მეტი არხი, რაც საიმედო კავშირს უზრუნველყოფს მსოფლიოს 60 ქვეყანასთან. ეს საფუძველს გვაძლევს ვიქონიოთ იმედი, რომ ოლიმპიური თამაშების დროს კავშირგაბმულობის ყველა მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებთ.

● რომის, ტოკიოს, მეხიკოს თამაშების გამოცდილებიდან ჩანს, რომ მომავალში ოლიმპიადებს გააშუქებს, სულ ცოტა, 4000-4500 ჟურნალისტი და კომენტატორი. შეძლებენ კი ჩვენი მუშაკები, რომ პრესის წარმომადგენლების მუშაობა არ შეფერხდეს? ლაპარაკია კავშირის დამყარების ოპერატიულობაზე, ხარისხზე, არხების მიღების პრიორიტეტზე, გარკვეულ შეღავათებზე პრესისთვის და ა. შ.

— ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა უდავოდ შეიძლება. ჩვენს ქვეყანას განვითარებული რადიოსატელეგრაფო და რადიოსატელეფონო კავშირი აქვს საზღვარგარეთის ქვეყნებთან. მთავარ მიმართულებებზე ჩვენი კავშირგაბმულობის მუშაკები რადიოსატელეგრაფო აპარატურასთან შეცდომების კორექციით მუშაობენ. ძირითადი რადიოსატელეფონო კავშირი ხორციელდება „ლინკომპექსის“ აპარატურით, რაც საშუალებას იძლევა უზრუნველვყოთ გადაცემის კარგი ხარისხი.

უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირი დაკავშირებულია იაპონიასთან წყალქვეშა კაბელით. ასეთივე კაბელები იგმარება ხაზებზე: სსრ კავშირი — პოლონეთი — ჩეხოსლოვაკია — გდრ. სსრ კავშირი — ფინეთი. საკაბელო და რადიოსარელეო ხაზები საშუალებას გვაძლევენ შევქმნათ კავშირის ძლიერი კონები, რაც უზრუნველყოფს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მოთხოვნილებებს.

რაც შეეხება პრიორიტეტს, კავშირგაბმულობის არხების სწრაფად შეერთებას ან ურიგოდ დათმობას, ამ მხრივ, რამდენადაც ვიცი, პრესის წარმომადგენლები ჩვენით უკმაყოფილო არ უნდა იყვნენ.

რასაკვირველია, თუ თამაშები მოსკოვში ჩატარდება, ჟურნალისტები, ეროვნული დელეგაციები და 1976 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილენი ყველა შესაძლებელი შეღავათით ისარგებლებენ. კავშირგაბმულობის პუნქტები განლაგდება ოლიმპიურ პრესცენტრშიც, ყოველი შეჯიბრების ადგილზე, ოლიმპიურ სოფელში, სადაც მონაწილენი იცხოვრებენ.

ამ თვალსაზრისით წინა ოლიმპიადების გამოცდილება ჩვენთვის ცნობილია და გვსურს კიდევ გავამდიდროთ იგი.

● ბოლო ოლიმპიურ თამაშებში ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ პრეს-ცენტრში ტელევიზორის ეკრანებზე ედევნებინათ თვალი შეჯიბრებებისთვის, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა ადგილას მიმდინარეობდა. შესაძლებელი იქნება თუ არა ეს მოსკოვში?

— ტექნიკურად ეს სავსებით შესაძლებელია. ამჟამად მოსკოვის ტელეცენტრი ეთერში ერთდროულად ოთხ პროგრამას გადასცემს. მალე გაჩნდება მეხუთე პროგრამაც. ამრიგად, ერთდროულად რამდენიმე შეჯიბრებიდან გადაცემების ტრანსლაცია დიდი პრობლემა არ არის.

● ამ ბოლო დროს სსრ კავშირსა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში წარმატებით მუშაობს კოსმოსური კავშირის სისტემა თანამგზავრების საშუალებით. გამოიყენებენ თუ არა მას ოლიმპიური თამაშების გასაშუქებლად?

— დიახ, ჩვენს ქვეყანაში შექმნილია კოსმოსური კავშირის ეროვნული ქსელი „ორბიტა“, რომელსაც 30-ზე მეტი სადგური აქვს და ამ ქსელის გაფართოება კიდევ გრძელდება. მინდა გაგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1969 წელს ვენაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციაზე, რომელიც კოსმოსური კავშირის საკითხებს ეხებოდა, საბჭოთა კავშირი „ინტერსპუტნიკის“ სისტემის შექმნის ინიციატორად მოგვევლინა. ბევრმა ქვეყანამ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას.

1976 წლისთვის კოსმოსური კავშირის სისტემა „ინტერსპუტნიკი“ შეიქმნება და უდავოდ შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება ოლიმპიური თამაშების დროს.

● რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ყოველივე ზემოთქმულიდან?

— მხოლოდ ერთი: საბჭოთა კავშირგაბმულობის მუშაკები თავს არ დაზოგავენ, რომ 1976 წლის ოლიმპიური თამაშები მოსკოვში უმაღლეს დონეზე ჩატარდეს, რომ თამაშების მსვლელობას თვალს ადევნებდეს ასობით მილიონი ადამიანი მთელს პლანეტაზე.

## „მოსკოვი მთავარი კანდიდატია“

ჰააგის ამ წყნარ, მწვანე ქუჩაზე მდგარ ძველებურ სახლში ფოსტალიონებს ყოველდღე უამრავი წერილი მოაქვთ. ბარათები მოდის სსრ კავშირიდან და საფრანგეთიდან, იაპონიიდან და ინგლისიდან, მექსიკიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ამ წერილებს ჰოლანდიის ოლიმპიურ კომიტეტში გზავნიან მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოები, ჟურნალ-გაზეთების რედაქციები. შინაარსი ერთი და იგივეა: ყველა თხოულობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ამსტერდამის სესიაზე თავისი წარმომადგენლის აკრედიტებას.

— აკრედიტების შესახებ თხოვნა უკვე მოვიდა 60 უცხოელი ჟურნალისტისა და ჰოლანდიის 20 წამყვანი სპორტული მიმომხილველისგან, — მოგვითხრობს ჰოლანდიის ოლიმპიური კომიტეტის დირექტორი, ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის პრეზიდენტი ადრიან პაულენი. — გასაგებია ასეთი დიდი ინტერესი 69-ე სესიისადმი. ამ სესიაზე, რომელიც ჰოლანდიის დედაქალაქში 8 მაისს შეუდგება მუშაობას, გადაწყდება სად უნდა ჩატარდეს 1976 წლის ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადები.

● დაიწყო თუ არა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ჰოლანდიის სესიისთვის მზადება?

— დიახ. ჩვენი კომიტეტის ამოცანაა სათანადოდ მოამზადოს ეს მნიშვნელოვანი სესია, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში დგას. სესიას საზეიმოდ გახსნის ჰოლანდიის დედოფალი იულიანა. მონაწილეთა და პრეტენდენტი ქალაქების დელეგაციათა განკარგულებაში იქნება ჩვენში უდიდესი ყრილობათა სასახლე „რაი“, რომლის მშენებლობა მხოლოდ 5 წლის წინ დამთავრდა. „რაი“ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვითაა აგებული და მოწყობილი. იგი 10 ათას კაცს იტევს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიის ცენტრი იქნება „რაის“ „ცისფერი დარბაზი“, სადაც მოსკოვი, მონრეალი, ლოს-ანჟელესი და სხვა პრეტენდენტი ქალაქები დიდ გამოფენებს აწყობენ. აქვე სესიის მონაწილენი, კანდიდატი ქალაქების დელეგაციების წევრები, ჟურნალისტები, ცნობილი სპორტის ოსტატები (როგორც ვიცი, ბევრი მათგანი აპირებს სესიაზე ჩამოსვლას) ნახავენ კინოფილმებს პრეტენდენტებზე, მიიღებენ ინფორმაციებს მათს ისტორიაზე, კულტურაზე, ყოფა-ცხოვრებაზე, სპორტულ ნაგებობებზე. ოლიმპიური ქარტია ითვალისწინებს 14 შეკითხვას კანდიდატი ქალაქებისთვის. ამ შეკითხვებზე პასუხს მსმენელები „ცისფერ დარბაზშიც“ მიიღებენ.

რასაკვირველია, ჩვენ ვიზრუნებთ, რომ გადაილახოს ეგრეთ წოდებული ენობრივი ზღუდე. ყველა კინოფილმი, ლექცია და მონაწილეთა განცხადება მყისვე გადაითარგმნება რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე.

ყველაფერი გაკეთდება, რათა საერთაშორისო პრესის წარმომადგენლებს ოპერატიული მუშაობის პირობები შევუქმნათ. „რაის“ პრეს-ცენტრში უკვე დგას „ტელექსები“. იქვე დადგამენ 25 საბეჭდ მანქანას. ჟურნალისტები მუდამ ახალ ინფორმაციებს მიიღებენ.

● თქვენი აზრით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია?

— ო, ეს რთული საკითხია, — იღიმება პაულენი. — არ ღირს წინასწარ მარჩიელობა საიდუმლო კენჭისყრაზე, რომელშიც სოკ-ის 70 წევრი — მსოფლიოს 126 სახელმწიფოს წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. მაგრამ მოსკოვი, ჩემი პირადი შეხედულებით, პირველი კანდიდატია.

● რატომ?

— ჩემი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე (პაულენი 67 წლისაა. — რედ.) ხშირად ვმოგზაურობდი. მინახავს ის ოთხივე ქალაქი, რომლებიც დღეს მასპინძლობაზე აცხადებენ პრეტენზიას. ამიტომ მე მაქვს მათი შედარების უფლება. მოსკოვი აყვავებული თანამედროვე ქალაქია. მას ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ ოლიმპიადის მონაწილეთა მიმართ ნამდვილი რუსული სტუმართმოყვარეობა გამოიჩინოს.

მოსკოვის ლენინის სახელობის სტადიონი, რომლის ტრიბუნებიც 100 ათას მაყურებელს იტევს, სამართლიანად ითვლება ევროპის ერთ-ერთ უდიდეს კომპლექსურ სპორტულ ნაგებობად. მოსკოვში არის დიდი კეთილმოწყობილი სასტუმროები, კარგადაა მოგვარებული ტრანსპორტის საკითხი.

დასასრულ, მოსკოვი ცნობილია ისტორიული ღირსშესანიშნაობებით, უძველესი კრემლით, მუზეუმებით, თეატრებით, სურათების გალერეებით. თუ ოლიმპიური თამაშები სსრ კავშირში ჩატარდა, მაშინ ამ ღირსშესანიშნაობებს გაეცნობიან არა მარტო სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენები, არამედ ტურისტებიც, რომლებიც, ჩვეულებრივ, მრავლად ჩამოდიან ოლიმპიადების სანახავად.

ისე არ გამიგოთ, თითქოს სხვა პრეტენდენტი ქალაქების წინააღმდეგი ვიყო. არა. მე მომწონს ხმაურიანი მონრეალიც, კალიფორნიის ყვავილი ლოს-ანჟელესიც. მომწონს მზიური ფლორენციაც, თუმცა, სხვა ქალაქებისგან განსხვავებით, ამ უკანასკნელს გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს, რადგან იტალიაში პოლიტიკური მდგომარეობა მერყეობს. ოღონდ, ვიმეორებ: მოსკოვი მთავარი კანდიდატია. ამ ქალაქის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ ბოლო წლებში საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ბევრი დიდი მსოფლიო თუ ევროპული მასშტაბის შეჯიბრება საუცხოოდ ჩატარდა.

● რას გადასცემდით საბჭოთა სპორტსმენებს?

— მე საბჭოთა კავშირში ბევრი კარგი მეგობარი მყავს. სულით და გულით მოხარული ვიქნები, თუ მათ მოსკოვში — XXI ოლიმპიადის დედაქალაქში შევხვდები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ სპორტის საერთაშორისო დღესასწაული — ოლიმპიადა მუდამ კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება, იგი სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობას საშუალებას აძლევს უკეთ გაიცნონ ერთმანეთი. ამიტომ სადაც უნდა ჩატარდეს, 1976 წლის ოლიმპიური თამაშები, პირველ ყოვლისა, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების ამოცანას გასცემს პასუხს.

ი. კორნიოვი.
(საქდესის კორ.).

ჰააგა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 6 უე 04222